



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ს. ივანოვილი სოფიო დვალიშვილი
„25“ „12“ 2017 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ განხორციელებული შესყიდვებისა და
შრომის ანაზღაურების

2015-2016 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში 063/36

სარჩევი

შემაჯამებელი მიმოხილვა	3
1. შესავალი	5
1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	5
1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
1.3 აუდიტის საგანი	5
1.4 აუდიტის მასშტაბი	6
1.5 აუდიტის კრიტერიუმები	6
1.6 აუდიტის მიზანი	6
1.7 ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	6
2. აუდიტის მიგნებები	10
2.1 პრემიების გაცემაში არსებული ნაკლოვანება	10
2.2 შტატგარეშე მოსამსახურეები	11
2.3 სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები	12
2.3.1 სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის სისუსტე	12
2.3.2 შესყიდვების გეგმის ნაკლოვანება	13
2.3.3 ბაზრის კვლევის ნაკლოვანება და არაკონკურენტული ტენდერები	13
2.3.4 წლის ბოლოს საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიზნით განხორციელებული შესყიდვები	15
2.3.5 სატენდერო პირობებით გათვალისწინებული არაპროპორციული მოთხოვნები	16

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული შესყიდვებისა და შრომის ანაზღაურების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

შრომის ანაზღაურება

2015-2016 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით სულ გაწეულია 4,233,993 ლარის ხარჯი, მათ შორის, თანამდებობრივმა სარგომ შეადგინა 2,686,067 ლარი, პრემიამ - 1,397,300 ლარი, ხოლო დანამატმა - 150,627 ლარი.

- საბჭოში არსებული საპრემიო პოლიტიკა არ არის სისტემურად დარეგულირებული და არ ატარებს წახალისების ფორმას. პრემიის გაცემის არსებულ პრაქტიკას თანამდებობრივი სარგოს ხასიათი აქვს. პრემიის გაცემის ბრძანებებში არ არის მითითებული პრემიის გაცემის მიზნობრიობა.
- პრემიის გაცემისას ისეთი კონტროლის მექანიზმი, როგორიცაა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობა (პრემიის წარდგენა/ინიცირება, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ ვიზირება), არ არის დანერგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭოს მიერ გაცემული პრემიები, ძირითადად, თანამდებობრივი სარგოს (და არა წახალისების) ხასიათს ატარებს.

სახელმწიფო შესყიდვები

საბჭოს მიერ 2015-2016 წლებში სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებულია 836,934 ლარის ღირებულების 195 ხელშეკრულება. საბჭოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს ახასიათებს შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპს უზრუნველყოფს საფინანსო-სამეურნეო სამმართველო,¹ სადაც არ არის განსაზღვრული შესყიდვების პროცესზე პასუხისმგებელ პირთა უფლება-მოვალეობები და არ არის გათვალისწინებული ურთიერთკონტროლის მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, შიდა კონტროლის ხარვეზს წარმოადგენს.
- კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა 2015-2016 წლებში გამოცხადებული ტენდერების 43% (9 ტენდერი, ჯამურად 189,460 ლარის სავარაუდო ღირებულების), რაც გარკვეულწილად უკავშირდება ბაზრის კვლევის არასათანადო ჩატარებას და სატენდერო წინადადებებით გათვალისწინებული მოთხოვნების არაპროპორციულობას. საბჭოს მიერ გარკვეულ შემთხვევებში ზედმიწევნით დეტალურად განისაზღვრა შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები, რამაც ტენდერებში კონკურენცია შეზღუდა. აღნიშნული ტიპის

¹ რომლის შემადგენლობაშიც შედის სამმართველოს უფროსი, მთავარი ბუღალტერი და 2 უფროსი კონსულტანტი, კონსულტანტი, მძღოლები და დამლაგებელი.

ნაკლოვანებები იწვევს დაბალფასიანი პრეტენდენტების დისკვალიფიკაციასა და შესყიდვის მაღალ ფასად განხორციელებას.

- აუდიტის პერიოდში საბჭოში არ ხდებოდა ბაზრის კვლევის სათანადოდ ჩატარება და დოკუმენტირება. შესაბამისად, ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილზე ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის გამოც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად განხორციელდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა.
- საბჭოში წლის ბოლოს ხდება დარჩენილი საბიუჯეტო რესურსების ათვისება, ისე რომ შესყიდვის განხორციელებისას არ ხდება საჭიროების შესაბამისი დასაბუთება. მაგალითად, 2015 წლის დეკემბერში საჭიროების დასაბუთების გარეშე შესყიდულია 2 ავტომანქანა.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ, აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1

შრომის ანაზღაურების სისტემის რაციონალურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საბჭომ განსაზღვროს საპრემიო პოლიტიკა, რომლის მიხედვით დადგინდება პრემიის გაცემის კრიტერიუმები და შემუშავდება პრემიის გაცემის წესი.

რეკომენდაცია N2

საპრემიო პოლიტიკის ეფექტიანი მართვის, ასევე ტექნიკური ხარვეზების, შეცდომებისა და უზუსტობების რისკის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია საბჭომ პრემიის გაცემის პროცესში უზრუნველყოს შესაბამისი მართვის და კონტროლის მექანიზმის (სტრუქტურული ერთეულების/დეპარტამენტების მიერ პრემიების წარდგენა/ინიცირების, სხვადასხვა რგოლისა და ხელმძღვანელი პირის მიერ გასაცემი პრემიების ვიზირების სისტემის) დანერგვა.

რეკომენდაცია N3

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში, შესაბამისი კონტროლის მექანიზმის დანერგვის მიზნით, საბჭომ უფლება-მოვალეობები იმგვარად გადაანაწილოს (სამუშაო აღწერილობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა), რომ შესყიდვების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს შიდა კონტროლის მექანიზმების გამართული ფუნქციონირება.

რეკომენდაცია N4

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მნიშვნელოვანია, პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნების განსაზღვრისას, საბჭომ უზრუნველყოს პროპორციულობის პრინციპის დაცვა, ასევე უპირატესობა მიაანიჭოს შესყიდვის ობიექტის ზოგად (და არა ზედმიწევნით დეტალურ) აღწერას, რაც ხელს შეუწყობს ტენდერებში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და შესაძლებელს გახდის სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N5

შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დაინერგოს ბაზრის კვლევის მეთოდები და მოხდეს ბაზრის კვლევის სათანადო დოკუმენტირება.

1. შესავალი

1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

საბჭოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. საბჭოს ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამოებებს.

1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საბჭოს მიერ 2015-2016 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურება არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამოებების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

1.3 აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა საბჭოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურება.

1.4 აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა საბჭოს 2015-2016 წლების საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები და შრომის ანაზღაურება.

1.5 აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“.

1.6 აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

1.7 ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საბჭო შექმნილია სასამართლოს (მოსამართლის) დამოუკიდებლობის, მართლმსაჯულების ხარისხისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გათავისუფლების, მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების, სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, საერთო სასამართლოების საბიუჯეტო, მატერიალურ-ტექნიკური და სასამართლო ადმინისტრირების საკითხთა კოორდინირებისა და კანონით დადგენილი სხვა ამოცანების შესრულების მიზნით.

საბჭოს აპარატი ახორციელებს საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას.

საბჭოს „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით ასიგნებები დაუმტკიცდა 2,700,000 ლარის ოდენობით, ხოლო მთლიანმა ხარჯმა 2,578,069 ლარი შეადგინა.

2016 წელს საბიუჯეტო ასიგნება განისაზღვრა 2,700,000 ლარით, მთლიანმა ხარჯმა კი 2,598,410 ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 23,816 ლარით.

ცხრილი N1: ინფორმაცია გადახდების შესახებ 2015-2016 წლებში

დასახელება	2015 წელი		2016 წელი	
	თანხა	ხვედ. წილი (%)	თანხა	ხვედ. წილი (%)
გადასახდელები სულ	2,578,069		2,598,410	
ხარჯები	2,440,659	94.6%	2,464,475	94.9%
მათ შორის:				
შრომის ანაზღაურება	2,111,998	81.9%	2,121,995	81.7%
საქონელი და მომსახურება	291,347	11.3%	295,137	11.4%
სოციალური უზრუნველყოფა	26,053	1.0%	36,681	1.4%
სხვა ხარჯები	11,260	0.4%	10,663	0.4%
არაფინანსური აქტივების ზრდა	137,411	5.4%	133,935	5.1%

2015-2016 წლებში მთლიანი გადახდების 82%-ს შეადგენს „შრომის ანაზღაურება“, 11%-ს „საქონელი და მომსახურება“, ხოლო 5%-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“.

შრომის ანაზღაურება

საბჭო შედგება 15 წევრისგან, აქედან: საბჭოს 8 წევრს, კანონით დადგენილი წესით, ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, 5 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი², ხოლო საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

ცხრილი N2: საბჭოს წევრებზე „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია

დასახელება	რაოდენობა		თანამდებობრივი სარგო		პრემია		დანამატი	
	2015	2016	2015	2016	2015	2016	2015	2016
წლები								
მოსამართლე წევრები	9	9	-	-	-	-	75,027	75,600
არამოსამართლე წევრები	5	5	300,000	300,000	117,500	105,000	-	-

² 2015-2016 წლებში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ასიგნებიდან შრომის ანაზღაურებას იღებდა პრეზიდენტის მიერ დანიშნული ერთი და პარლამენტის მიერ არჩეული 4 საბჭოს წევრი.

საბჭოს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ/საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნულ არამოსამართლე წევრებს, თავისი მოვალეობის შესრულებისათვის, ეძლევათ ანაზღაურება საქართველოს სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, საბჭოსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებიდან³.

საბჭოს გადაწყვეტილებით, ⁴ წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის, 2015-2016 წელს საბჭოს წევრ მოსამართლეებს დაწესებული აქვთ ყოველთვიური დანამატი 700 ლარის ოდენობით.⁵ სულ გაცემული დანამატები 2015 წელს შეადგენდა 75,000 ლარს, 2016 წელს კი - 75,600 ლარს.⁶ საბჭოს მოსამართლე წევრები პრემიას არ იღებენ, ხოლო საბჭოს არამოსამართლე წევრებს არ აქვთ დანიშნული ყოველთვიური დანამატი და იღებენ მხოლოდ პრემიას.

2015 და 2016 წლებში საბჭოს აპარატის მომუშავეთა რიცხოვნობა 80 სამტატო ერთეულით დაიგეგმა, მათ შორის, 5 საბჭოს არამოსამართლე წევრი.

2015 წელს საბჭოში ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 67 მოსამსახურე, შესაბამისად, ვაკანტური ადგილების საშუალო რაოდენობა 13-ს შეადგენდა. 2016 წელს ფაქტობრივად დასაქმებული იყო საშუალოდ, 71 მოსამსახურე, ხოლო ვაკანტური - საშუალოდ, 9 ადგილი.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლში (გარდა საპრემიო ფონდისა) შეუვსებელი ვაკანსიების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიების ხარჯზე გაცემულია პრემიები.

ცხრილი N3: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა

10 00 კოდი	დასახელება	საბოლოო წლიური დამტკიცებული გეგმა	წლიური დაზუსტებული გეგმა	ზრდა/შემცირება
2015 წელი	შრომის ანაზღაურება	2,126,000	2,112,000	(14,000)
2016 წელი	შრომის ანაზღაურება	2,126,000	2,122,000	(4,000)

საბჭოს, როგორც 2015, ისე 2016 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დაუმტკიცდა 2,126,000 ლარი, ხოლო დამტკიცებულსა და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა გამოწვეულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში თანხების გადატანით - შესაბამისად, 14,000 და 4,000 ლარი.

³ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-14 პუნქტი.

⁴ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 14 ივნისის №1/20 გადაწყვეტილება (ცვლილებებით).

⁵ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-14 პუნქტი „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაძლებელია დაუწესოს დანამატები.“

⁶ თანხებს შორის სხვაობა გამოწვეულია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ცვლილებით.

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით 2015 წელს გაცემულია 2,112,000 ლარი, 2016 წელს - 2,122,000 ლარი. ინფორმაცია მოცემულია ცხრილში:

ცხრილი N4: ინფორმაცია 2015-2016 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ

დასახელება	2015 წელი		2016 წელი	
	თანხა	ხვედ. წილი (%)	თანხა	ხვედ. წილი (%)
შრომის ანაზღაურება	2,111,998		2,121,995	
თანამდებობრივი სარგო	1,308,247	62%	1,377,820	65%
პრემია	728,725	34%	668,575	31%
დანამატი	75,027	4%	75,600	4%

2016 წელს „თანამდებობრივი სარგოს“ ქვემუხლით გაწეული ხარჯი შეადგენდა მთლიანი შრომის ანაზღაურების 65%-ს, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს აღემატება 3%-ით, ხოლო „პრემია“ შეადგენდა 31%-ს (2015 წელთან შედარებით შემცირებულია 3%-ით).

2015 წელს საბჭოს არამოსამართლე წევრებზე (5 წევრზე) გაცემული პრემიების რაოდენობამ შეადგინა 117,500 ლარი (მთლიანი საპრემიო ფონდის 16%), დანარჩენი გადანაწილებულია აპარატის თანამშრომლებზე. 2016 წელს კი - საბჭოს არამოსამართლე წევრებზე გაცემულია 105,000 ლარი „პრემიის“ მუხლით (მთლიანი საპრემიო ფონდის 16%).

სახელმწიფო შესყიდვები

2015-2016 წლებში სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებულია 836,934 ლარის ღირებულების 195 ხელშეკრულება.

ცხრილი N5: 2015-2016 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებები

წელი	2015 წელი		2016 წელი	
შესყიდვის საშუალება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება
ტენდერის საშუალებით გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის:	21	311,314	16	157,993
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	13	183,871	7	69,964
კონსოლიდირებული	8	127,443	9	88,029
გამარტივებული შესყიდვით, მათ შორის:	74	86,972	84	280,644
მონეტარული ზღვრების ფარგლებში	69	67,009	75	74,291
მთავრობის განკარგულებით	1	200	1	200
მთავრობის დადგენილებით	1	12,000	3	18,000
სხვადასხვა	3	7,763	4	12,153
ავტომატური ჩანაცვლება			1	176,000
სულ გაფორმებული ხელშეკრულებები:	95	398,297	100	438,637

2 აუდიტის მიგნებები

2.1 პრემიების გაცემაში არსებული ნაკლოვანება

საბჭო პრემიებს გაცემს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე. აუდიტის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის თანახმად, წახალისება გაიცემა მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

საბჭოში პრემია საბჭოს მდივნის ბრძანების საფუძველზე გაიცემა. ინფორმაცია 2015-2016 წლებში გაცემული პრემიების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი №. 2015-2016 წლებში პრემია/დანამატების შესახებ ინფორმაცია (თვეების მიხედვით)

	2015 წელი		2016 წელი	
	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	-	6,300	-	6,300
თებერვალი	-	6,160	-	6,300
მარტი	110,510	5,867	122,020	6,300
აპრილი	-	6,300	47,900	6,300
მაისი	-	6,300	-	6,300
ივნისი	111,440	6,300	118,330	6,300
ივლისი	-	6,300	5,000	6,300
აგვისტო	97,940	6,300	91,140	6,300
სექტემბერი	108,740	6,300	114,940	6,300
ოქტომბერი	-	6,300	-	6,300
ნოემბერი	53,020	6,300	45,595	6,300
დეკემბერი	247,075	6,300	123,650	6,300
სულ:	728,725	75,027	668,575	75,600

საბჭოში პრემიები გაიცემა ყოველკვარტლურად, ასევე სადღესასწაულო დღეებში. ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა გარკვეულ შემთხვევებში აღემატება თანამდებობრივ სარგოს.

2015 წლის დეკემბერში გაცემულია 247,075 ლარის ოდენობის პრემია, რაც დაახლოებით, 156 %-ით (150,745 ლარი) აღემატება წლის განმავლობაში, 5-ჯერ გაცემული პრემიების საშუალო თვიური ათვისების მაჩვენებელს (96,330 ლარი),⁷ ხოლო 2016 წლის დეკემბერში გაცემულია 123,650 ლარის

⁷ 2015 წელს პრემია გაიცა 6-ჯერ.

ოდენობის პრემია. აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 58%-ით (45,803 ლარი) აღემატება წლის განმავლობაში 7-ჯერ გაცემული პრემიების საშუალო ათვისების მაჩვენებელს (77,846 ლარი).⁸

პრემიის გაცემის ბრძანება არ შეიცავს პრემიის გაცემის სამოტივაციო ნაწილს, რაც მნიშვნელოვანია თანამშრომლის მიერ კარგად შესრულებული სამუშაოს დასაბუთებისთვის. საბჭოს განმარტებით, პრემიის გაცემის არსებული პრაქტიკა ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ საბჭოში არსებული ხელფასები დაბალია. შედეგად, თანამდებობრივი სარგოს კომპენსირება ხდება პრემიით.

საბჭოში პრემიის გაცემის ბრძანების პროექტის ვიზირება არ ხდება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების (პირის) მიერ. კერძოდ, ადამიანური რესურსების სამმართველო აკეთებს ბრძანებას, სადაც განსაზღვრულია კონკრეტულ თვეში გასაცემი პრემიების ოდენობა და მიმღები პირები. ბრძანებას ხელს აწერს საბჭოს მდივანი, თუმცა პრემიის ინიცირების უფლების მქონე დეპარტამენტები პროცესში არ მონაწილეობენ. აღნიშნული კონტროლის სისუსტეს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული ფაქტების ერთობლიობით, საბჭოში არსებული საპრემიო პოლიტიკა არ ატარებს წახალისების ფორმას, რომელიც გაიცემა მოსამსახურის მიერ სამსახურებივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულების ან განსაკუთრებული მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით.

დასკვნა

საბჭოს მიერ გაცემული პრემიები ძირითადად თანამდებობრივი სარგოს (და არა წახალისების) ხასიათს ატარებს. ამასთანავე, შრომის ანაზღაურების და პრემიის გაცემის პროცესში არ მონაწილეობს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული, რაც კონტროლის ნაკლოვანებას წარმოადგენს.

2.2 შტატგარეშე მოსამსახურეები

საბჭოში 2015-2016 წლებში დასაქმებული იყო, შესაბამისად, 5⁹ და 4 შტატგარეშე მოსამსახურე, რაც საშტატო რიცხოვნობის 5%-ს შეადგენს, თუმცა მათი რიცხოვნობა არ აღემატება 5 ერთეულს.¹⁰ მათთან შრომითი საქმიანობის განხორციელების თაობაზე დადებული იყო ვადიანი ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადა უწყვეტად გრძელდებოდა 2 წელი და მეტი პერიოდი. ისინი ასრულებდნენ ერთსა და იმავე სამუშაოს, ერთ თანამდებობრივ პოზიციაზე, რაც

⁸ 2016 წელს პრემია გაიცა 8-ჯერ.

⁹ ერთი შტატგარეშე მოსამსახურე 2 თვით მუშაობდა.

¹⁰ კანონი „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, 22 მუხლი, 1 პუნქტი: „საბიუჯეტო ორგანიზაციაში შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საშტატო რიცხოვნობის 2%-ს. იმ ორგანიზაციაში, სადაც საშტატო რიცხოვნობის 2% შეადგენს 5 ერთეულზე ნაკლებს, ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ერთეულს.“

შესასრულებელ სამუშაოთა მუდმივ საჭიროებაზე მიუთითებს. აღნიშნული ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.¹¹

რეკომენდაციები

- ✓ შრომის ანაზღაურების სისტემის რაციონალურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საბჭომ განსაზღვროს საპრემიო პოლიტიკა, რომლის მიხედვით დადგინდება პრემიის გაცემის კრიტერიუმები და შემუშავდება პრემიის გაცემის წესი.
- ✓ საპრემიო პოლიტიკის ეფექტიანი მართვის, ასევე ტექნიკური ხარვეზების, შეცდომებისა და უზუსტობების რისკის შესამცირებლად, მნიშვნელოვანია საბჭომ პრემიის გაცემის პროცესში უზრუნველყოს შესაბამისი მართვის და კონტროლის მექანიზმის (სტრუქტურული ერთეულების/დეპარტამენტების მიერ პრემიების წარდგენა/ინიცირების, სხვადასხვა რგოლისა და ხელმძღვანელი პირის მიერ გასაცემი პრემიების ვიზირების სისტემის) დანერგვა.

2.3 სახელმწიფო შესყიდვებში არსებული ნაკლოვანებები

2.3.1 სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის სისუსტე

სახელმწიფო შესყიდვებს საბჭოში ახორციელებს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტი. დეპარტამენტის შემადგენლობაშია სამართლებრივ საკითხთა სამმართველო და საფინანსო-სამეურნეო სამმართველო.

ასევე საბჭოში არ არის გამოყოფილი ქონების დაცვაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

დეპარტამენტში სამუშაო აღწერილობები და უფლებამოსილებები ისე არ არის გადანაწილებული, რომ უზრუნველყოს შიდა კონტროლის მექანიზმების გამართული ფუნქციონირება. პრაქტიკულად შესყიდვების განხორციელების ყველა ეტაპს (დაგეგმვა, ბაზრის კვლევა, ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრა, შესყიდვა, შესასყიდი საქონლის მიღება-ჩაბარება, ხელშეკრულებაზე კონტროლი, ინსპექტირება და ანგარიშსწორება) ახორციელებს ერთი სტრუქტურული ერთეული - საფინანსო-სამეურნეო სამმართველო (რომლის შემადგენლობაშიც შედის სამმართველოს უფროსი, მთავარი ბუღალტერი, ორი უფროსი კონსულტანტი, კონსულტანტი, მძღოლები და დამლაგებელი). შესყიდვების პროცესში პირთა პასუხისმგებლობები და მოვალეობები დარეგულირებული არ არის, რაც შიდა კონტროლის არსებით ხარვეზზე მიუთითებს.

¹¹ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

შიდა კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირებაში არსებული ხარვეზები წარმოშობს საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვის ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობის რისკებს.

2.3.2 შესყიდვების გეგმის ნაკლოვანება

2015-2016 წლებში საბჭოს შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N7: შესყიდვების გეგმებში განხორციელებული ცვლილებები

წელი	თავდაპირველი გეგმა (ლარი)	ცვლილებების რაოდენობა	საბოლოო გეგმა (ლარი)
2015	420,000	41	435,535
2016	433,600	41	438,640

საბჭოს 2015 წლის ასიგნებების ფარგლებში, შესყიდვების გეგმის 41 ცვლილებიდან, 5 ცვლილებით არსებულ გეგმას დაემატა ახალი შესყიდვები ჯამური ღირებულებით 20,740 ლარი (ასიგნებების ფარგლებში „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან მივლინების თანხების საპროგნოზო ეკონომიებით).


2016 წლის ასიგნებების ფარგლებში, შესყიდვების გეგმის 7 ცვლილებით არსებულ გეგმას დაემატა ახალი შესყიდვა ჯამური ღირებულებით 13,800 ლარი (ასიგნებების ფარგლებში „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან მივლინების თანხების საპროგნოზო ეკონომიებით).

საბჭოს მიერ შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილების საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შესყიდვების დაგეგმვის და საჭიროებების განსაზღვრაში არსებულ პრობლემაზე მიუთითებს.

2.3.3 ბაზრის კვლევის ნაკლოვანება და არაკონკურენტული ტენდერები

კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა 2015-2016 წლებში გამოცხადებული ტენდერების 43%, რაც განაპირობებს შესყიდვების არაეკონომიურად განხორციელების რისკს.

გრაფიკი N1: თანაფარდობა ჩატარებულ ტენდერებსა და მონაწილე პრეტენდენტებს შორის




ტენდერებში, სადაც მონაწილეობას 2 და მეტი პრეტენდენტი იღებდა, სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის არსებითი სხვაობებია, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N8: სხვაობა სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის სხვადასხვა რაოდენობის პრეტენდენტების შემთხვევაში

პრეტენდენტების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა	სხვაობა(%)
2, 3 და 4	81,750	67,141	14,609	17.8%
1	189,460	183,480	5,980	3%

პრეტენდენტების ზრდასთან ერთად იზრდება წარმოქმნილი ეკონომიაც. 2015-2016 წლებში ტენდერების შედეგად ეკონომიამ სულ შეადგინა 20,589 ლარი.

გრაფიკი N2: ეკონომიის ზრდა კონკურენციის პირობებში



სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბაზრის კვლევას და შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას.

აუდიტის პერიოდში საბჭოში არ ხდებოდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადოდ დოკუმენტირება. შესაბამისად, ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილზე ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის გამოც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად განხორციელდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა.

2.3.4 წლის ბოლოს საბიუჯეტო სახსრების ათვისების მიზნით განხორციელებული შესყიდვები

საბჭოზე არ ვრცელდება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეზღუდვები საბიუჯეტო სახსრებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის და ამ ეკონომიის შემდგომი გამოყენების შესახებ. მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საბჭო ეკონომიებს იყენებდეს დასაბუთებული საჭიროებების შესაბამისად.

საბჭოში დარჩენილი ეკონომიები, შესყიდვების გეგმაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ნაწილდება სხვადასხვა CPV (შესყიდვის კატეგორია) კოდებზე. ამასთანავე, შესყიდვების გეგმით წლის დასაწყისში CPV კოდებზე გათვალისწინებული თანხების ათვისებლობის შემთხვევაში, მათი განკარგვა ხდება სხვადასხვა შესყიდვის განხორციელების გზით. მაგალითად, წლის ბოლოს საბიუჯეტო თანხების ათვისების მიზნით განხორციელებულია შემდეგი შესყიდვა:

2015 წლის 26 ნოემბერს საბჭოს მიერ 2 ავტომანქანის (მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი („ჯიპი“) და მსუბუქი ავტომობილი („სედანი“), შესყიდვის მიზნით გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი სავარაუდო ღირებულებით 100,000 ლარი.

2014 წლის 20 ნოემბერს 2015 წლისათვის დამტკიცებულ შესყიდვების გეგმით 34100000 CPV კოდზე (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) გათვალისწინებული იყო 34,000 ლარი, ხოლო ცვლილება განხორციელდა 2015 წლის 26 ნოემბერს. კერძოდ, მოხდა სხვადასხვა CPV კოდებზე ¹² დარჩენილი ათვისებული თანხების გადატანა აღნიშნულ CPV კოდზე.

შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა და საჭიროება შესყიდვის პროცესში დასაბუთებული არ იყო, რასაც ადასტურებს ისიც, რომ მანქანები დეპარტამენტის ხელმძღვანელებს გადაეცათ რამდენიმე თვის შემდეგ.

ამასთანავე, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ მახასიათებლებში კონკრეტულად იყო მითითებული ავტომობილის გამოშვების წელი და ფერი („სედანი“: გამოშვების წელი - 2014, ფერი - ვერცხლისფერი; „ჯიპი“: გამოშვების წელი - 2015, ფერი - ვერცხლისფერი), რაც კონკურენციის შეზღუდვის რისკებს წარმოშობს.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „კია მოტორს ჯორჯიამ“, რომელთანაც 2014 წელს გამოშვებული KIA OPTIMA-ს და 2015 წელს გამოშვებული KIA SPORTAGE-ს შესყიდვაზე 2015 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 100,000 ლარი.

საბჭოს განმარტებით, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური მახასიათებლების შედგენა განაპირობა საბჭოს მიერ ტენდერის გამოცხადებამდე ჩატარებულმა წინა სატენდერო პროცედურებმა: „ბაზრის კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა რამდენიმე კომპანიის ავტომანქანები. მათ შორის, მოთხოვნილ ტექნიკურ პარამეტრებს, საგარანტიო პირობებს და სავარაუდო ღირებულებას აკმაყოფილებდა ორი კომპანია: შპს „კია მოტორს ჯორჯია“ და შპს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“. ორივე მათგანს საკუთარ „შოუროუმებში“ ჰქონდათ წარმოდგენილი მოთხოვნილი მახასიათებლების საგარანტიო პირობების და ყველაზე კონკურენტუნარიანი (დაბალი) ფასის მქონე ავტომანქანები. მათ შორის, ორივე კომპანიის

¹² 18500000 – 1,000 ლარი, 30200000 – 3,000 ლარი, 32200000 – 2,000 ლარი, 32300000 – 4890 ლარი, 35100000 – 4,390 ლარი, 39700000 – 4,290 ლარი, 42500000 – 2,430 ლარი, 42900000 – 3,400 ლარი, 44400000 – 900 ლარი, 45400000 – 39,700 ლარი.

მიერ წარმოდგენილ იქნა 2014 წლის „სედანის“ ტიპის და 2015 წლის „ჯიპის“ ტიპის ავტომანქანები, რომელთა ფასებიც საგრძნობლად მცირე იყო იმავე კომპლექტაციის 2015 წლის სხვა მიმწოდებლების შემოთავაზებულ მოდელებთან შედარებით. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე კომპანიის მიერ წარმოდგენილი ავტომანქანები იყო ვერცხლისფერი, სატენდერო დოკუმენტაციაში კონკრეტულადაა მითითებული გამოშვების წელი და ფერი.

2.3.5 სატენდერო პირობებით გათვალისწინებული არაპროპორციული მოთხოვნების შედეგად განხორციელებული მაღალფასიანი შესყიდვები

2015-2016 წლებში საბჭოს მიერ სულ გამოცხადებულია 21 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, მათ შორის, არ შედგა 2, ხოლო დანარჩენზე გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები.

გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო წინადადების ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს შესასყიდი საქონლის მიწოდების გამოცდილების (3-დან 5 წლამდე) დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. მოთხოვნა ეხება ყველა დასახელების საქონლის შესყიდვას, მათ შორის, საკანცელარიო ნივთების, ავეჯის და ა.შ., მიუხედავად სატენდერო წინადადების ფასისა. სატენდერო პირობებში ასეთი მოთხოვნის ჩადებამ შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია და სწორედ ამ პირობის გამო, რომელიმე სხვა კომპანიამ ვერ წარმოადგინოს შესაბამისი შეთავაზება.

ტენდერების შესწავლით გამოვლინდა, რომ ორ ტენდერში პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის მიზეზი იყო სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ანალოგიური საქონლის მიწოდების 3-წლიანი გამოცდილების და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტების წარმოუდგენლობა,¹³ რამაც გამოიწვია საქონლის შედარებით მაღალ ფასად შესყიდვა. მაგალითად:

- ✓ საოფისე ავეჯის შესყიდვის მიზნით 2015 წლის 18 მარტს გამოცხადდა ტენდერი,¹⁴ სავარაუდო ღირებულებით 3,980 ლარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „ოფის 1 - მა“ (3,799 ლარი) და შპს „პატიო არტმა“ (2,889 ლარი).

2015 წლის 2 აპრილს დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი შპს „პატიო არტი“ დისკვალიფიცირდა¹⁵ ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის გამო, შესაბამისად, ხელშეკრულება გაფორმდა შპს „ოფის 1-თან“ ღირებულებით 3,799 ლარზე (31.4%-ით მეტი).

- ✓ კომპიუტერული მოწყობილობებისა და აქსესუარების შესყიდვის მიზნით, 2015 წლის 3 დეკემბერს საბჭოს მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁶

¹³ სატენდერო წინადადების 2.1 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები.

¹⁴ SPA150008764

¹⁵ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N3.

¹⁶ SPA150032568

სავარაუდო ღირებულებით 3,500 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა: შპს „კომპ ჰაუსმა“ (2,140 ლარი), შპს „ფორსმა“ (2,141 ლარი) და შპს „ულტრამ“ (2,750 ლარი). 2015 წლის 16 დეკემბერს სატენდერო კომისიის მიერ დისკვალიფიკაცია მიენიჭა დაბალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს, შპს „კომპ ჰაუსს“, „სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის“ წარმოდგენლობის გამო¹⁷. გამომდინარე იქიდან, რომ მომდევნო დაბალი ფასის წარმომდგენმა პრეტენდენტმა არ წარმოადგინა დაზუსტებული სატენდერო წინადადება, ხელშეკრულება¹⁸ გაფორმდა მესამე პრეტენდენტთან, შპს „ულტრასთან“ სახელშეკრულებო ღირებულებით 2,750 ლარი (28.5%-ით მეტი).

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს გამოცხადებული სატენდერო დოკუმენტაციით, „სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის“ წარმოდგენა გათვალისწინებული აღარ იყო.

ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

2015-2016 წლებში, ტონერიანი კარტრიჯების შესყიდვის მიზნით, საბჭოს მიერ გამოცხადდა 2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი¹⁹. სატენდერო დოკუმენტაციით, საქონლის მახასიათებლების ნაცვლად მითითებულია კონკრეტული მოდელები (კარტრიჯი CRG718 MAGENTA; Q2612A; CE505A; C9363H (130) შავი და ა.შ.), რაც შეუსაბამოა მოქმედ კანონდებლობასთან.²⁰ ორივე ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი - შპს „კოპი რუმი“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები.

დასკვნა

საბჭოს მიერ განხორციელებულ შესყიდვებს ახასიათებს შემდეგი სახის ნაკლოვანებები: შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპს უზრუნველყოფს ერთი სტრუქტურული ერთეული, რაც შიდა კონტროლის ხარვეზს წარმოადგენს (იმ პირობებში, როდესაც ორგანიზაციის სტრუქტურაში შიდა აუდიტის სამსახური არ არის).

აუდიტის პერიოდში საბჭოში არ ხდებოდა ბაზრის კვლევის პროცესის სათანადოდ დოკუმენტირება, შესაბამისად, ხელშეკრულებების უმეტეს ნაწილზე ვერ იქნა წარმოდგენილი ბაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტები, რის გამოც შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რამდენად სრულყოფილად და კვალიფიციურად განხორციელდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენა.

კონკურენციის გარეშე მიმდინარეობდა 2015-2016 წლებში გამოცხადებული ტენდერების 43% (9 ტენდერი).

¹⁷ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N3.

¹⁸ ხელშეკრულება N85.

¹⁹ SPA150002044; SPA160002499

²⁰ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

2015 წლის დეკემბერში საბიუჯეტო თანხების ათვისების მიზნით, საჭიროების დასაბუთების გარეშე, შესყიდულია 2 ავტომანქანა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების მართვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საბჭომ უზრუნველყოს:

რეკომენდაციები

- ✓ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცესში, შესაბამისი კონტროლის მექანიზმის დანერგვის მიზნით, საბჭომ უფლება-მოვალეობები იმგვარად გადაანაწილოს (სამუშაო აღწერილობებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა), რომ შესყიდვების პროცესში უზრუნველყოფილ იქნეს შიდა კონტროლის მექანიზმების გამართული ფუნქციონირება.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების პროცესში მნიშვნელოვანია პრეტენდენტთა მიმართ მოთხოვნების განსაზღვრისას საბჭომ უზრუნველყოს პროპორციულობის პრინციპის დაცვა, ასევე უპირატესობა მიანიჭოს შესყიდვის ობიექტის ზოგად (და არა ზედმიწევნით დეტალურ) აღწერას, რაც ხელს შეუწყობს ტენდერებში ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და შესაძლებელს გახდის სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ეკონომიურ ხარჯვას.
- ✓ შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია დაინერგოს ბაზრის კვლევის მეთოდები და მოხდეს ბაზრის კვლევის სათანადო დოკუმენტირება.

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი

თარიღი

ხელმოწერა

მეგი კოდოშვილი

25.12.2017

[ხელმოწერა]

(უფროსი აუდიტორი)

ნიკოლოზ სხულუხია

25.12.2017

[ხელმოწერა]

(აუდიტორი)

თამარ ბარბაქაძე

25.12.2017

[ხელმოწერა]

(აუდიტორ-ასისტენტი)

ვახტანგ ჭელიძე

25.12.2017

[ხელმოწერა]

(აუდიტორ-ასისტენტი)

